# საქართველოს მთავრობის
# განკარგულება

N 657 2025 წლის 15 აპრილი ქ. თბილისი

## საქართველოს დამოუკიდებლობის დღის – 26 მაისისადმი მიძღვნილი ღონისძიებების ორგანიზების სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ

1. „საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის „ა“ და „ჰ$^{3}$“ ქვეპუნქტებისა და მე-6 მუხლის საფუძველზე, დამტკიცდეს თანდართული „საქართველოს დამოუკიდებლობის დღის – 26 მაისისადმი მიძღვნილი ღონისძიებების ორგანიზების სამოქმედო გეგმა“ (შემდგომში – სამოქმედო გეგმა).

2. ეთხოვოთ მუნიციპალიტეტების მერიებსა და კერძო სამართლის იურიდიულ პირებს, კომპეტენციის ფარგლებში, სამოქმედო გეგმით განსაზღვრულ ღონისძიებებში მონაწილეობის მიღება.

3. სამოქმედო გეგმით დამტკიცებული ღონისძიებების განხორციელების საკითხი გადაწყდეს სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული უწყებებისა და ორგანიზაციებისთვის „საქართველოს 2025 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონით ან/და შესაბამისი ბიუჯეტებით მათთვის განსაზღვრული ასიგნებების ან/და მათი საკუთარი შემოსავლების ფარგლებში, ასევე, საჭიროების შემთხვევაში,

საერთო-სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის გადასახდელების განკარგვის წესის შესაბამისად.

პრემიერ-მინისტრი ირაკლი კობახიძე

დანართი

საქართველოს დამოუკიდებლობის დღის – 26 მაისისადმი მიძღვნილი ღონისძიებების ორგანიზების სამოქმედო გეგმა

| № | ღონისძიების დასახელება | ღონისძიებაზე პასუხისმგებელი უწყება |
|---|---|---|
| 1 | საზეიმო ღონისძიებისათვის საჭირო ბეჭდვითი მომსახურებების (საშვების, ბეჯების, მანიშნებლების და ა. შ.) დამზადება და შეძენა | საქართველოს კულტურის სამინისტრო |
| 2 | საზეიმო ღონისძიების სარეკლამო კამპანიის წარმოების, დიზაინის უზრუნველყოფა და კამპანიისთვის ვიდეორგოლების დამზადება, სატელევიზიო სივრცესა და სოციალურ ქსელებში განთავსება | საქართველოს კულტურის სამინისტრო |
| 3 | ადმინისტრაციულ შენობებზე ბანერებისა და კონსტრუქციების დამზადება – მონტაჟი/ დემონტაჟი; გარე რეკლამისთვის თემატური დიზაინის დამზადება, მომსახურების შესყიდვა | საქართველოს კულტურის სამინისტრო |
| 4 | ქ. თბილისში, ალექსანდრეს ბაღის, ორბელიანის ქუჩასა და მიმდებარე ტერიტორიაზე შემეცნებით-გასართობი სივრცეების მოწყობა: სპორტული აქტივობების სივრცე, კულტურული აქტივობების თემატური სივრცე, საგამოფენო სივრცე, საბავშვო სივრცეები, ღვინის სადეგუსტაციო და მოსასვენებელი სივრცე, ტერიტორიის გასაფორმებელი დეკორაცია | საქართველოს კულტურის სამინისტრო |

| | | |
|---|---|---|
| 5 | 17:10 საათი - დრო, როდესაც გამოცხადდა საქართველოს დამოუკიდებლობა, საზეიმო აღნიშვნა ქ. თბილისში, საქართველოს პრეზიდენტის სასახლესა და მის მიმდებარე ტერიტორიაზე | საქართველოს კულტურის სამინისტრო |
| 6 | ქ. თბილისში გალა-კონცერტის უზრუნველყოფა (ტექნიკური აღჭურვილობა; სცენა; გახმოვანება; გადახურვა; განათება, კულისების მოწყობა და ა. შ., ყველა სხვა ტექნიკური საჭიროება), ქ. თბილისის კონცერტის სატელევიზიო ეთერით უზრუნველყოფა; სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი იურიდიული პირებისგან საარქივო მასალის გამოთხოვა | საქართველოს კულტურის სამინისტრო |
| 7 | ქ. თბილისში, ორბელიანის ქუჩის მიმდებარე ტერიტორიაზე სპორტული სივრცის მოწყობა. სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი იურიდიული პირებისგან საარქივო მასალის გამოთხოვა | საქართველოს სპორტის სამინისტრო |
| 8 | ფიცის დადების საზეიმო ღონისძიება ქ. თბილისში, თავისუფლების მოედანზე და საქართველოს ხუთ მუნიციპალიტეტში; გახმოვანებისა და მონიტორების უზრუნველყოფა ქ. თბილისსა და რეგიონებში; ქ. თბილისში, თავისუფლების მოედანზე, სინქრონული თარგმნითა და მასთან დაკავშირებული მომსახურებების უზრუნველყოფა; თავისუფლების მოედანზე ტრიბუნებისა და სცენის მოწყობა; სცენის შეფუთვა; შეიარაღების, აღჭურვილობისა და | საქართველოს თავდაცვის სამინისტრო |

| | | |
|---|---|---|
| | ჯავშანტექნიკის გამოფენები ქ. თბილისსა და რეგიონებში; შემოქმედებითი ჯგუფის სამუშაოების ანაზღაურება; სატელევიზიო პირდაპირი ტრანსლაციის უზრუნველყოფა ქ. თბილისსა და რეგიონებში; ავიაციის საჩვენებელი გადაფრენა; ფიცის ცერემონიალზე დასასწრებად მოსაწვევების დაბეჭდვა-დარიგება | |
| 9 | საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო, სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირები – დაცვის პოლიციის დეპარტამენტი, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს აკადემია, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტო, საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრი „112“, სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალი სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულებები – საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახური, საქართველოს სასაზღვრო პოლიცია და საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტი 26 მაისს, ქ. ფოთში უზრუნველყოფენ საქართველოს დამოუკიდებლობის დღისადმი მიძღვნილი ღონისძიების გამართვას;<br><br>ტერიტორიაზე მოეწყობა პავილიონები, საგამოფენო სივრცეები, სადაც გაცოცხლდება | საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო; სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირები – დაცვის პოლიციის დეპარტამენტი, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს აკადემია; საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტო; საზოგადოებრივი |

| | | |
|---|---|---|
| | საქართველოს უძველესი და უახლესი ისტორია. მოედანზე განთავსდება 26 მაისის ინსტალაცია. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლები, ადგილობრივებთან ერთად, გამართავენ სხვადასხვა შემეცნებით-გასართობ აქტივობას; მოეწყობა შესაბამისი ინფრასტრუქტურა ადგილობრივი მეწარმეების პროდუქციის გამოფენა-გაყიდვისთვის;<br><br>17:10 საათი – საზეიმო აღნიშვნა და საღამოს კონცერტის უზრუნველყოფა | უსაფრთხოების მართვის ცენტრი „112“; სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალი სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულებები – საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახური; საქართველოს სასაზღვრო პოლიცია და საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტი |
| 10 | საქართველოს დამოუკიდებლობის დღის – 26 მაისისადმი მიძღვნილი ღონისძიებების ორგანიზების სამოქმედო გეგმით განსაზღვრულ ლოკაციებზე, ხალხმრავალ ადგილებში წესრიგის უზრუნველყოფა; | საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო;<br><br>სსიპ – დაცვის პოლიციის დეპარტამენტი |

| | | |
|---|---|---|
| | ქ. თბილისში, ალექსანდრეს ბაღის, ორბელიანის ქუჩისა და მიმდებარე ტერიტორიაზე მონტაჟის დროს პავილიონების დაცვა – 25-26 მაისი | |
| 11 | ქ. თბილისში, თავისუფლების მოედნისა და ორბელიანის ქუჩის მიმდებარე ტერიტორიის გადაკეტვა | ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერია/საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო |
| 12 | ქ. გორის მთავარ მოედანზე დროშების განთავსება, თემატური ინსტალაციების მოწყობა, საარქივო მასალის რეპროდუქცია; საბავშვო-გასართობი სივრცის მოწყობა; მოედნის ტერიტორიაზე სხვადასხვა სივრცეში თამაშებისა და გასართობი აქტივობების ორგანიზება; კინოთეატრის მოწყობა; კვების კუთხის ორგანიზება, ადგილობრივი მეწარმეების პროდუქციის გამოფენა-გაყიდვა; სცენის მოწყობა; დღის განმავლობაში მცირე წარმოდგენების უზრუნველყოფა; თეატრალიზებული წარმოდგენებისა და მუსიკალური მსვლელობის მოწყობა; ადგილობრივი ანსამბლების კონცერტების უზრუნველყოფა;<br>17:10 საათი – საზეიმო აღნიშვნა, საქართველოს ჰიმნის შესრულება და საღამოს კონცერტის ორგანიზება | საქართველოს იუსტიციის სამინისტრო;<br><br>სსიპ – აღსრულების ეროვნული ბიურო;<br><br>სსიპ – საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო;<br><br>სსიპ – სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტო |
| 13 | ქ. ზუგდიდში – შემეცნებით-გასართობი, საგამოფენო სივრცის მოწყობა; პროფესიული კოლეჯების სტენდებისა და საგამოფენო | საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და |

| | | |
|---|---|---|
| | სივრცის მოწყობა, შესაბამისი აქტივობების უზრუნველყოფა; ადგილობრივ მეწარმეთა გამოფენა-გაყიდვისთვის განკუთვნილი ინფრასტრუქტურის მოწყობა; სსიპ – შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის კონკურსის – „ლეონარდო და ვინჩის“ მონაწილე მოსწავლე გამომგონებელთა პროექტების/აქტივობების წარმოსაჩენად სივრცის მოწყობა, სამეცნიერო ცდების, პროექტების წარმოჩენა; უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების – შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო უნივერსიტეტის, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის, საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტის, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის, ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის საგამოფენო სტენდების/პავილიონების მოწყობა და შესაბამისი აქტივობების უზრუნველყოფა; სსიპ – მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის პროექტის – „ლაბორატორია ჩხირკედელას“ წარმოჩენა, პავილიონის სივრცის მოწყობა; სსიპ – კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის პავილიონის მოწყობა, შემეცნებითი აქტივობების წარმოჩენა; | ახალგაზრდობის სამინისტრო და მის სისტემაში შემავალი საბიუჯეტო ორგანიზაციები |

| | | |
|---|---|---|
| | სსიპ – საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახურის გასართობ-შემეცნებითი სივრცის მოწყობა;<br>სკოლის მოსწავლეებისთვის ციფრული ინსტალაციების შოუ/გამოფენა შემეცნებით-გასართობ თემატიკაზე;<br>საბავშვო, შემეცნებით-გასართობი, სპორტული სივრცეების მოწყობა და დღის გასართობი პროგრამების უზრუნველყოფა; ტერიტორიის გაფორმება და სხვადასხვა ინსტალაციის დამზადება/განთავსება;<br>სცენის მოწყობა, აღჭურვა, საკონცერტო პროგრამის უზრუნველყოფა;<br>17:10 საათზე – საქართველოს ჰიმნის შესრულება და ღონისძიების საზეიმო აღნიშვნა | |
| 14 | ქ. ქუთაისი – ცენტრალური მოედანი – „საქართველო ღვინის სამშობლო“ – კონცეფციის შესაბამისი სივრცის მოწყობა: შემეცნებითი სივრცე, სადაც წარმოდგენილი იქნება ინფორმაცია ქართული ღვინის, მათ შორის, იმერეთის მეღვინეობის შესახებ; მოეწყობა ღვინის მეწარმეების საგამოფენო სივრცე. საქართველოს დამოუკიდებლობის დღისადმი მიძღვნილი საგამოფენო სივრცის მოწყობა, 26 მაისის თემატიკით ტერიტორიის მორთვა, ინსტალაციებისა და დეკორაციის უზრუნველყოფა; შემეცნებით-გასართობი სივრცეების მოწყობა: საკონცერტო სცენა, ღვინისა და კვების კუთხე, საბავშვო | საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო;<br><br>სსიპ – ღვინის ეროვნული სააგენტო; |

| | | |
|---|---|---|
| | მოსასვენებელი ზონა, ადგილობრივი მეწარმეების სივრცე;<br>17:10 საათი – საქართველოს ჰიმნის შესრულება;<br>გალა-კონცერტის უზრუნველყოფა; | საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს ა(ა)იპ – სოფლის განვითარების სააგენტო; |
| | ქ. თელავი - ცენტრალური მოედანი - კონცეფციის შესაბამისი სივრცის მოწყობა: შემეცნებით-გასართობი აქტივობების უზრუნველყოფა; შემეცნებითი სტენდი მცენარეული კულტურების გასაცნობად. ტერიტორიაზე განთავსდება ინსტალაცია/ფოტო გადასაღები სივრცე – „26 მაისი"; მოეწყობა საბავშვო შემეცნებითი სივრცე, სადაც მოსული სტუმრები შეძლებენ, შეისწავლონ ნარგავების მოვლის ტექნიკა. მოედანზე არსებული სამშენებლო ღობის შეფუთვა ღონისძიების თემატური შინაარსით. მოეწყობა ადგილობრივი მეწარმეების პროდუქციის გამოფენა/გაყიდვა; მოეწყობა ღია კაფე, მოსასვენებელი სივრცე, სადაც შესაძლებელი იქნება დეგუსტაციები; ტერიტორიაზე განთავსდება საინფორმაციო „ყუთები", დღის მანძილზე გაიმართება რამდენიმე კოსტიუმირებული მსვლელობა, საბავშვო წარმოდგენები და სპორტული აქტივობები;<br>17:10 – საზეიმო აღნიშვნა საქართველოს ეროვნული ჰიმნის შესრულებით;<br>საღამოს კონცერტის ორგანიზება და კონცერტის სრული ტექნიკური აღჭურვა; | საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სსიპ – დაცული ტერიტორიების სააგენტო |

| | | |
|---|---|---|
| | ქ. ახალციხე – 26 მაისის ღონისძიების საგამოფენო სივრცე – ფოტოზონებით, თემატური ფოტოსტენდებითა და დაცული ტერიტორიების თემატური საინფორმაციო კუთხეებით; 26 მაისის და თემატური ინსტალაციები; საკემპინგე სივრცე; სათავგადასავლო სივრცე – ზიპლაინის აქტივობა; VR სივრცე; ადგილობრივი მეწარმეების დახლების სივრცე; ბავშვთა გასართობი სივრცეები; სპორტული აქტივობები; 26 მაისის სიმბოლიკით ტერიტორიის მორთვა, სცენა და ტექნიკური აღჭურვა, საღამოს გალა-კონცერტის უზრუნველყოფა;<br>17:10 საათი – საქართველოს ჰიმნის შესრულება და საზეიმო აღნიშვნა | |
| 15 | ქალაქ თბილისის გაფორმება დროშებითა და ბანერებით, შენობების ფასადების, დროებითი სამშენებლო ღობეების, საბანერე კონსტრუქციების შეფუთვა (ვინილის ბანერი, ბადე-ბანერი, ვინილის ბანერი შავი ზურგით, მაგნიტური ბანერი, წებოვანი ფირი (სტიკერი), ბადესტიკერი);<br><br>ორბელიანის მოედნის მიმდებარე ტერიტორიის (გიორგი ათონელის ქუჩა, ხაზინის ქუჩა, ფხოვის ქუჩა, ანტონ ფურცელაძის ქუჩა, ვეკუას ქუჩა) და 9 აპრილის სახელობის ბაღის სადღესასწაულო მორთულობა, ღონისძიების ბრენდირების | ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერია |

| | | |
|---|---|---|
| | შესაბამისად, თანმდევი მომსახურებით (მონტაჟი-დემონტაჟი);<br><br>ორბელიანის მოედანზე გასართობი, მუსიკალური, სხვადასხვა თემატური აქტივობისა და კვების ზონის ორგანიზება; ღონისძიებების უზრუნველსაყოფად საჭირო, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ინვენტარის ბრენდირება შესაბამისი თემატიკით, ღონისძიების ადგილზე განთავსება, მონტაჟი-დემონტაჟი და ტრანსპორტირება;<br><br>საჭიროების შემთხვევაში, სხვადასხვა ტიპის სცენებით (ასაწყობი, მინის, ხის) შესაბამისი გადახურვებით, სხვადასხვა კონსტრუქციით (კოშკებით, ფერმებით, საპულტე კოშკებით, ბექგრაუნდის კონსტრუქციებით), კაბელარხებით, გენერატორებით, გახმოვანებისა და განათების აპარატურით, ლედ-მონიტორებით, საგრიმიოროებით, კარვებით, ჯებირებით, ღონისძიებისთვის საჭირო სხვადასხვა ინვენტარით უზრუნველყოფა;<br><br>ორბელიანის მოედნის მიმდებარე ტერიტორიაზე (გიორგი ათონელის ქუჩა, ხაზინის ქუჩა, ფხოვის ქუჩა, ანტონ ფურცელაძის ქუჩა, ვეკუას ქუჩა) და 9 აპრილის სახელობის ბაღში უსაფრთხოების, ცხოველთა | |

| | | |
|---|---|---|
| | მონიტორინგის, დასუფთავების სამსახურებისა და მუნიციპალური ინსპექციის მობილიზება, ღონისძიების უზრუნველსაყოფად საჭირო ელექტროფიცირება. თავისუფლების მოედნისა და ორბელიანის მოედნის მიმდებარე ტერიტორიების ბიოტუალეტებით უზრუნველყოფა;<br><br>ქ. თბილისის ანძის საზეიმოდ განათება; „მშვიდობის ხიდის" საქართველოს დროშის ფერებში განათება | |
| 16 | ქ. რუსთავი – ღონისძიება გაიმართება ქალაქის მთავარ მოედანზე. 26 მაისის ბრენდირებული სიმბოლიკით მოედნის მორთვა; ინსტალაცია – „26 მაისი"; შემეცნებით-გასართობი აქტივობების უზრუნველყოფა; საბავშვო-გასართობი, ახალგაზრდებისთვის მოსასვენებელი და მუსიკალური სივრცეების მოწყობა; სპორტული აქტივობების უზრუნველყოფა; სხვადასხვა შინაარსის ფოტოზონების, საინტერესო თემატური ინსტალაციებისა და პავილიონების მოწყობა; ყვავილების კუთხე, ფოტოგამოფენა. ადგილობრივი წარმოშობის მეწარმეებისა და ხელოვანების ნამუშევრებისთვის კეთილმოწყობილი სივრცით უზრუნველყოფა, გამოფენა-გაყიდვის ორგანიზება; ანიმატორების, ადგილობრივი შემოქმედებითი კოლექტივების ღონისძიებაში ჩართვა; | საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო |

| | | |
|---|---|---|
| | 17:10 საათი – საქართველოს ჰიმნის შესრულება და საზეიმო აღნიშვნა;<br>საღამოს კონცერტის ორგანიზება მოწვეული მუსიკოსების მონაწილეობით | |
| 17 | ქ. მესტია – კონცეფციის მიხედვით, თემატური, შემეცნებითი, საბავშვო-გასართობი, სამეწარმეო და გასტრონომიული ზონების, საინფორმაციო/ საგამოფენო სივრცეების მოწყობა; სპორტული აქტივობები, ღონისძიების თემატური ინსტალაციები; ღონისძიების დღის აქტივობები, ბრენდირებული ატრიბუტიკისა და ღონისძიების ფოტოგადაღების უზრუნველყოფა;<br>17:10 საათი – საზეიმო აღნიშვნა: საქართველოს ჰიმნის შესრულება. საღამოს სცენისა და სხვა ტექნიკური საჭიროებების უზრუნველყოფა, საზეიმო კონცერტის უზრუნველყოფა | სსიპ – საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია |
| 18 | ქ. ზუგდიდი – ინოვაციური სტენდის მოწყობა; თანამედროვე ტექნოლოგიების ვორქშოპების გამართვა ღონისძიებაზე მისული მოქალაქეებისთვის;<br><br>ქ. ოზურგეთი – საქართველოს ენერგეტიკის საგამოფენო სტენდის მოწყობა; საქართველოს დამოუკიდებლობის დღის თემატური ფოტოზონა; შემეცნებით-გასართობი აქტივობების უზრუნველყოფა; 26 მაისის ლოგო-ფოტოზონა; საქართველოს დამოუკიდებლობის დღისადმი მიძღვნილი გამოფენის | სსიპ – საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტო;<br><br>სს გაერთიანებული ენერგეტიკული სისტემა საქრუსენერგო; |

| | | |
|---|---|---|
| | უზრუნველყოფა; ინსტალაციების და ტერიტორიის გაფორმება; საბავშვო-გასართობი სივრცე; კვების სივრცის უზრუნველყოფა; ადგილობრივი მეწარმეების პროდუქციის გამოფენა-გაყიდვა; სცენის მოწყობა-აღჭურვა;<br><br>17:10 საათი – საქართველოს ჰიმნის შესრულება და საზეიმო აღნიშვნა. საღამოს კონცერტის უზრუნველყოფა | სს საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაცია;<br><br>შპს საქართველოს გაზის ტრანსპორტირების კომპანია;<br><br>სს საქართველოს ენერგეტიკის განვითარების ფონდი;<br><br>სს საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა;<br><br>შპს ენგურჰესი |
| 19 | ქ. ქუთაისი – 26 მაისის ღონისძიების ფარგლებში, ქუთაისში მოედანზე ერთ-ერთი სივრცის მოწყობა. თემატური, ავიაციასთან დაკავშირებული მრავალფუნქციური საგამოფენო ინსტალაციებისა და ფოტოზონის მოწყობა; ავიაციასთან დაკავშირებული აქტივობებისა და საბავშვო-გასართობი სივრცის უზრუნველყოფა. 26 მაისის ბრენდირებული ნივთების დამზადება. ფრენის სიმულატორი და VR სათვალე | შპს საქართველოს აეროპორტების გაერთიანება |

| | | |
|---|---|---|
| 20 | ქ. ქუთაისი – ფოტოზონებისა და ვიზუალური, საფოსტო საქმიანობასთან დაკავშირებული ისტორიული საგამოფენო ინსტალაციების მოწყობა; საბავშვო-გასართობი სივრცის უზრუნველყოფა | შპს საქართველოს ფოსტა |
| 21 | ქ. ფოთი – გემისა და შუქურის ინსტალაცია, გემის კოსტიუმირებული პერსონალის დემონსტრირება, მუსიკალური გაფორმება; კონცეფციის შესაბამისად, ცოდნის გაზიარება და საგამოფენო სივრცის მოწყობა; ფოტოზონა და საბავშვო ზონა, სადაც ჩატარდება სხვადასხვა მასტერკლასი და თამაშები ბავშვებისთვის;<br>ქ. ზუგდიდი – მცირე სტენდის მოწყობა, კოსტიუმირებული სტუდენტების გამგზავრება, საინფორმაციო ბეჭდური მასალის გავრცელება | სსიპ – საზღვაო ტრანსპორტის სააგენტო;<br><br>სსიპ – ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემია |
| 22 | 17:10 საათის საზეიმო აღნიშვნა; ჰიმნის გაჟღერება როგორც სადგურებზე, ასევე მატარებელში; თემატური ბრენდირებული სიმბოლური ნივთების/სუვენირების დამზადება /დარიგება მგზავრებისთვის | სს საქართველოს რკინიგზა |
| 23 | ქ. ახალქალაქი და ქ. მარნეული – 26 მაისის ღონისძიებების ფარგლებში, კონცეფციის შესაბამისად, პავილიონების/საგამოფენო სივრცეების, ფოტოზონის, თემატური ინსტალაციების, საბავშვო-გასართობი კუთხეების, თეატრალური მიზანსცენების, მცირე მეწარმეების და კვების ზონის, მოსასვენებელი და მუსიკალური სივრცეების მოწყობა; | შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატი |

| | | |
|---|---|---|
| | 26 მაისის ინსტალაციის განთავსება და სცენის მოწყობა თავისი შესაბამისი აღჭურვილობით ქალაქებში ღონისძიებისთვის განკუთვნილ შესაბამის ლოკაციებზე;<br>გასართობ-შემეცნებითი აქტივობების ორგანიზება;<br>17:10 საათი – საქართველოს ჰიმნის შესრულება და საზეიმო აღნიშვნა. საღამოს კონცერტის უზრუნველყოფა | |
| 24 | ქ. მცხეთა – 26 მაისის კონცეფციის შესაბამისად, შემეცნებითი სივრცეების, პავილიონებისა და ღონისძიებების მოწყობა; ფოტოზონების მოწყობა; თემატური გამოფენების უზრუნველყოფა; საბავშვო-გასართობი სივრცეების მოწყობის უზრუნველყოფა; მცირე მეწარმეებისა და კვების ზონის მოწყობა; მუსიკალური სივრცეების მოწყობა; ღონისძიების სიმბოლოს – „26 მაისის“ ინსტალაციებისა და სცენის მოწყობა თავისი შესაბამისი აღჭურვილობით;<br>17:10 საათი – საზეიმო აღნიშვნა – საქართველოს ჰიმნის შესრულება; საღამოს კონცერტის უზრუნველყოფა | საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო |
| 25 | ქ. ამბროლაური – კონცეფციის შესაბამისად, შემეცნებითი/საგამოფენო ინსტალაციების მოწყობა; საერთო ტერიტორიის გაფორმება ბრენდირებული აქსესუარებით; გასტრონომიული და ღვინის დეგუსტაციის კუთხის, სამეწარმეო სივრცის მოწყობა; | საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და |

| | | |
|---|---|---|
| | საბავშვო-გასართობი და შემეცნებითი აქტივობების უზრუნველყოფა; ანიმატორების პროგრამების უზრუნველყოფა; მუსიკალური სივრცის მოწყობა; სცენის მოწყობა შესაბამისი აღჭურვილობით;<br>17:10 საათის საზეიმო აღნიშვნა და საღამოს კონცერტის უზრუნველყოფა | სოციალური დაცვის სამინისტრო |
| 26 | მუნიციპალიტეტებისთვის – ამბროლაურის, მარნეულის, ახალქალაქის, ახალციხის, გორის, ზუგდიდის, თელავის, მესტიის, მცხეთის, ოზურგეთის, რუსთავის, ფოთის, ქუთაისის (სულ – 13 მუნიციპალიტეტი) ქალაქგაფორმების უზრუნველყოფა. თითოეულ ქალაქს მიეწოდება წინასწარ შეთანხმებული რაოდენობების მიხედვით საქართველოს დროშები. | საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო. |